„ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი ● №13-14 (9507-9508) ● 1-31 ივლისი ● ფასი 1 ლარი

სენაკმა რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა

ოთხწლიანი ინტერვალის შემდეგ სენაკის თეატრი გაიხსნა

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, სენაკის აკაკი ხორავას სახელმწიფო დრამატული თეატრი იშვიათი არქიტექტურითა და უნიკალური მხატვრობით ყველას აღფრთოვანებას იწვევს.

თეატრის რეკონსტრუქცია ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელდა. პროექტის ღირებულებამ 10 მილიონი ლარი შეადგინა.

22 ივლისს თეატრი ფრანგი მწერლის, ერიკ ემანუელ შმიტის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლით „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე“, გაიხსნა.

სპექტაკლი გამორჩეული იყო იმითაც, რომ მასში მონაწილეობა მიიღეს, სენაკის მუნიციპალიტეტის მკვიდრებმა, სენაკის საპატიო მოქალაქეებმა, რუსთაველის ეროვნული თეატრის უნიჭიერესმა მსახიობებმა ნანა ფაჩუაშვილმა და მურმან ჯინორიამ, სპექტაკლში მონაწილეობდნენ სენაკის აკ. ხორავას სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი თამარ აბშილავა, ფოთის ვალერიან გუნიას პროფესიული სახელმწიფო თეატრის მსახიობი ჯანო იზორია, სოხუმის სახლმწიფო მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობი მარიამ კალატოზიშვილი.

შემდეგ დამსწრე საზოგადოებას, სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ფართო ეკრანზე გაცნობოდნენ სენაკის თეატრის ისტორიას. ნაჩვენები იქნა დოკუმენტური მასალა, რომელიც შეეხებოდა სენაკის თეატრის მიერ განვლილ გზას 1881 წლის თებერვალში გამართული პირველი წარმოდგენიდან დღემდე. ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდა მოსკოვში გასტროლების ამსახველი კადრები, ნაწყვეტები სპექტაკლებიდან, 1990 წელს ცნობილი თეატრალების სტუმრობა სენაკში (როცა თეატრმა კვლავ დაიბრუნა სახელმწიფო სტატუსი), 2008 წლის აგვისტოს უმძიმესი მოვლენების ამსახველი ფოტომასალები, რესტავრაციის შედეგად დაბრუნებული თეატრის უნიკალური იერ-სახის ამსახველი კოლაჟი.

დოკუმენტურ მასალას ახმოვანებდა სენაკის თეატრის მსახიობი თენგიზ თოფურიძე.

შემდეგ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი ადამიამ, სენაკელებს მიულოცა თეატრის გახსნა. მადლობა გადაუხადა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ შესრულებული უზარმაზარი სამუშაოებისათვის.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი მიესალმა რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს. მადლობა გადაუხადა ფონდ „ქართუს“, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს იმ ფინანსური და მორალური მხარდაჭერისთვის, რაც მათ რეგიონის თეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღორძინებისთვის გააკეთეს.

სენაკის საზოგადოებას, თეატრის გახსნა მიულოცა სენაკის მკვიდრმა მწერალმა და დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა მადლობა გადაუხადა ფესტივალის ორგანიზატორებს. აღნიშნა, რომ სენაკში მეორედ იმართება რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, რაც დიდი პატივია სენაკის საზოგადოებისათვის. ეს ორმაგად სასიხარულოა, რადგან ჩვენი თეატრი განახლებულ, რებილიტირებულ შენობაში ხვდება ხელოვნების დღესასწაულს.

რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის მნიშვნელობაზე ისაუბრა ფესტივალის ხელმძღვანელმა ნინელი ჭანკვეტაძემ, მან მადლობა გადაუხადა სენაკის მუნიციპალიტეტის მერს თანადგომისათვის, მერიის კულტურის სამსახურის მუშაკებს, თეატრის ადმინისტრაციას და ღონისძიების თითოეულ მონაწილეს ნამდვილ თეატრალურ დღესასწაულში წვლილის შეტანისათვის.



საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი გეგეჭკორმა დამსწრეთ გააცნო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც აკაკი ხორავას სახელობის პრემია გადაეცათ ქართული თეატრალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს -- კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს, კოტე მახარაძის სახელობის ტიტულის მფლობელს მურმან ჯინორიას და ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს გაბრიელ მდინარაძეს. გივი სარჩიმელიძის სახელობის ჯილდო გადაეცა საქართველოს თეატრალური საზოგადოების იმერეთის ორგანიზაციის სახელობის თავმჯდომარეს ლევან როხვაძეს.

„ამაგდარის“ წოდება მიენიჭათ აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დარამატული თეატრის მსახი-

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

სენაკმა რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა

ოთხწლიანი ინტერვალის შემდეგ სენაკის თეატრი გაიხსნა

(გაგრძელება)

ობებს: გიორგი(ჟორა) დამენიას, გულნარა ლოხიშვილს, თენგიზ თოფურიძეს, ტენიკურ რეჟისორს მაია ფირცხელავას. სალომე ყანჩელის სახელობის ჯილდო გადაეცა მსახიობ თამარ აბშილავას.

19 საათზე ნოქალაქევის ციხე-ქალაქში მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დარმატული თეატრის დასმა, ფესტივალი სპექტაკლით ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ გახსნა.

მსახიობებმა მაღალპროფესიულად გააცოცხლეს მაყურებლის თვალწინ „ღამის წყვდიადში ჩაფლული ქისტეთის მიდამო“, ზვიადაურისა და ჯოყოლას შეყრა, ზნეობრივი არჩევანის წინაშე მდგარი ჯოყოლა, ერთმანეთს დაპირისპირებული ორი მხარე, სტუმარ-მასპინძლობის წესის დამრღვევი თემი, აღაზას სულიერი რყევა და ბოლოს გამოიკვეთა ნაწარმოების მთავარი სათქმელი „როგორ იბრძოლეს და რას შეეწირნენ ვაჟას გმირები“.

ახალგაზრდა მსახიობებით დაკომპლექტებულმა თეატრის დასმა შთამბეჭდავი შესრულებით დაამახსოვრა თავი მაყურებელს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია, საქართველოს დამსახურებული არტისტი ლია სულუაშვილი, რეჟისორი იოანე ხუციშვილი, მუსიკალური გამფორმებელი გიორგი ჯიქია. ახალციხის თეატრის სამხატვრი ხელმძღვანელმა ლია სულუაშვილმა აღნიშნა, რომ ნოქალაქევში სწორედ ვაჟას ნაწარმოების შესაბამისი გარემო დახვდა: ციხე-გოჯი, გალავნები, ეგზოტიკური მთები, უძველესი მართლმადიდებლური ტაძარი, აქაფებული მდინარე – ეს გასაოცარი მოტივაცია აღმოჩნდა ვაჟას გმირების გასაცოცხლებლად.

თეატრის გასხსნას და დაგეგმილ ღონისძიებებს, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრთან თეა წულუკიანთან ერთად ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ნინო ვიბლიანი, მოადგილეები დავით ვერავა, ლუდუკი ხასია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, რეგიონალური თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ცნობილი სახეები, რესპუბლიკური და რეგიონალური მედია საშუალებების ჟურნალისტები.

23 ივლისს ფესტივალი სენაკის თეატრის სპექტაკლით „ქურდის ქურდი“ გაგრძელდა. (დარიო ფო-ს „ძარცვა იტალიურად, ქურდის ქურდი ცხონდაო“-ს მიხედვით) მონაწილეობდნენ აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახლმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები: თამარ აბშილავა, ლადო კოკაია, ინგა ცირამუა, ზურაბ ზურაბაშვილი, ლალი გაბელაია, ვეფხვია გორგოძე. რეჟისორი და მუსიკალურო გამფორმებელი კახა გოგიძე, მხატვარი ლელა ფერაძე, მხატვარ-შემსრულებლები ემილ გეგეხავა, მალხაზ კორთხონჯია, ტექნიკური რეჟისორი მაია ფირცხელავა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი ადამია, დირექტორი მამუკა ბარქაია. სპექტაკლს დიდი მოწონება ხვდა წილად.

ფესტივალი გრძელდება, დანარჩენ სპექტაკლებზე ინფორმაციას მოგაწვდით შემდეგ ნომერში. რედაქციის სახელით ვუღოცავთ ჩვენს სახელოვან თეატრალებს, მთელ საზოგადოებას თეატრის გახსნას, ვუსურვებთ წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას, ბევრ მაყურებელს და ზღვა ოვაციას.

მედეა ბაღათურია

წარსულის ფურცლები

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში დაბა ახალსენაკის სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო თბილისი-ფოთის სარკინიგზო ხაზისა და რკინიგზის სადგურის მშენებლობის განვითარებამ.

ქართული თეატრის დარსებიდან ორიოდე წლის შემდეგ 1881 წლის 20 თებერვალს, ადგილობრივი ძალებით დაბა ახალსენაკში გაიმართა პირველი წარმოდგენა, ნაჩვენები იქნა მოლიერის "ძალად ექიმი", იმ დღიდან დაბაში სისტემატიურად იმართებოდა წარმოდგენები, რის შესახებაც წერდა იმ პერიოდის ცენტრალური გაზეთი „დროება“.

1895 წელს ახალსენაკის რკინიგზის სადგურის უფროსად ინიშნება, ცნობილი დრამატურგი, აქვსენტი ცაგარელი. მან და მისმა მეუღლემ ნატო გაბუნია – ცაგარელმა დიდი წვლილი შეიტანეს დაბის თეატრალურ ცხოვრებაში.

სცენის მოყვარეთა კოლექტივს უძღვებოდა ი. მიქელაძე. თავიდან წარმოდგენები იმართებოდა თავადების: ფარნაოზის, ბესარიონისა და დიმიკო მხეიძეების ოჯახებში.

1902 წელს დასისთვის გამოიყო შენობა და შესაძლებელი გახდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული თეატრების გასტროლების გამართვა. ახალსენაკს ბევრჯერ სწვევია გამოჩენილი მსახიობები: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა – აბაშიძე, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ნუცა მხეიძე და სხვა. 1912 წლიდან ადგილობრივ დრამატულ დასში გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები: აკ. ხორავა, ჯ. ღვამიჩავა, გ. ჯაკობია და სხვა. მათი მონაწილეობით სენაკელმა მაყურებელმა ნახა გ. ერისთავის პიესა „სამშობლო“. 1918 წელს დაიდგა ალ. სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“, სადაც ოთარბეგის როლი პირველად განასახიერა აკაკი ხორავამ, ახალგაზრდა სცენის მოყვარემ აღფრთოვანებაში მოიყვანა მაყურებელი.

1938 წელს შეიქმნა საკოლმეურნეო თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა რეჟისორი გივი ინჯგია. ამავე წელს თეატრს მიენიჭა სახელმწიფო-საკოლმეურნეო თეატრის წოდება, ხოლო 1940 წლიდან სახელმწიფო თეატრის სტატუსი. 1938-1945 წლებში თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა მჟავანაძე, ხოლო 1945-1949 წლებში კი გოგი ლომაია. 1949 წელს სენაკის სახელმწიფო თეატრი ლიკვიდირებულ იქნა. 1959-1990 წლამდე ფუნქციონირებდა სახალხო თეატრი. 1959-1978 წლებში თეატრის ხელმძღვანელი იყო რეჟისორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კარლო კალანდაძე. 1968 წელს სენაკის სახალხო თეატრი მონაწილეობდა მოსკოვის საკავშირო თეატრალურ ფესტივალზე, კრემლის თეატრის სცენაზე ნაჩვენები იქნა მურმან ხუნწარიას პიესა „ტეხურის პირას“, რომლის რეჟისორ- კონსულტანტი გახლდათ საბჭოთა კავშირის სახალხო პრემიის ლაურეატი, ბატონი გიგა ლორთქიფანიძე, რეჟისორი კარლო კალანდაძე, სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა: საკავშირო ფესტივალის საპატიო წოდების, ოქროს მედლითა და პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ რეჟისორი კარლო კალანდაძე, მხატვარი დიმიტრი ბარქაია. მსახიობები: ნორა დადიანი, გული ჯავახია, ბოჩია არჩაია, შოთა შარვაძე, პანტელეიმონ ბოჯგუა; სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი ლეონტი ჩიხლაძე.

1990 წელს სენაკში, 40 წლის შემდეგ კვლავ აღდგა სახელმწიფო თეატრი, რომლის პირველი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო დავით ხინიკაძე, დირექტორი – ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ სალაყაია. განახლებული თეატრის პირველი სეზონი გაიხსნა 1991 წლის 10 ივლისს დრამატურგ ვ. კანდელაკის პიესით „დრო 24 საათი“ (დამდგმელი რეჟისორი – დ. ხინიკაძე, მხატვარი – ლ. მანთიძე).

2008 წლის ცნობილი მოვლენების დროს დაიბომბა თეატრი და საგრძნობლად დაზიანდა.

2016 წელს „ქართუ ბანკმა“ დაიწყო თეატრის შენობის სრული რეაბილიტაცია, რომელიც დამთავრდა 2021 წელს.

სენაკში თეატრის არსებობიდან დღემდე 140 წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე ბევრი წარმატებაც ყოფილა და წარუმატებლობაც, სიხარულიც და იმედგაცრუებაც, მაგრამ უკეთესი მომავლის რწმენა არასოდეს დაუკარგავს. თეატრი ცოცხლობს, ეძებს – წინ დიდი გზებია.

მ. ლიფონავა

გურამ ბათიაშვილი - მწერალი, მთარგმნელი, დრამატურგი

საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მთარგმნელს, დრამატურგს, მწერალს, საქართველოში მოქმედ არაერთი ცნობილი ჟურნალისა და გაზეთის რედაქტორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სენაკის საპატიო მოქალაქეს ბატონ გურამ ბათიაშვილს წარდგენა არ სჭირდება სენაკელი მკითხველის წინაშე. მან, სრულიად ახალგაზრდამ, თავისი პირველი ნაწარმოებები გაზეთ „კოლხეთში“ დაბეჭდა.

სენაკის ისტორია ფერუცვლელად ინახავს ქართველი და ებრაელი ხალხის თანაცხოვრების მრავალმხრივ დეტალებს. სენაკელმა ებრაელებმა სითბო, სიხარული, თანაგრძნობა, თანადგომა გვიწილადეს, ჩვენს გვერდით იყვნენ ჭირსა თუ ლხინში.

ვფიქრობ, მკითხველებისათვის საინტერესო იქნება ბატონ გურამ ბათიაშვილის ჩანაწერების გაცნობა წიგნიდან „სახეები და სიტუაციები“, რომელიც ერთგვარად გვამოგზაურებს წარსულში და გაგვახსენებს ცისკრით ნაფენ ფერადოვნებას — რასაც ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობა ჰქვია.

მჩვადიაურში

(ორი თავი ჩანაწერების წიგნიდან „სახეები და სიტუაციები")

განა მხოლოდ თბილისში, ისრაელშიც არის მწვადიაური („Sifudim“). ისევე როგორც დიღომისას, არც ამ მწვადიაურს აკლია მიმსვლელ-სტუმარი. ქალაქ ხოლონიდან გასასვლელში, ვიდრე თელ-ავივის ლაბირინთებში გაეხვეოდეთ, ერთი მაღლივი კორპუსის პირველ სართულზე შუა აზიიდან ჩამოსულ ე.წ. „ბუხარელ ებრაელს" გაუხსნია ეს „შიფუდიმ" და ბედს არ უნდა ემდუროდეს. ასეთი მწვადიაური კიდევ სამი ჰქონია და მიმსვლელ-სტუმარი არ ილევაო--აქ ხუთ-ექვსნაირ მწვადს მოგართმევენ და კარგ ლუდსაც მოყოლებენ. ხოლო არაბული წესითა და სუნელებით შეზავებულ მისაყოლებელს , თვლა არა აქვს.

ჩემი ბავშვობის მეგობარმა შოთა სეფიაშვილმა--ჩემზე 5-6 თვით უფროსია, სადაცაა 83 წლისა გახდება, არ მომასვენა: აქაურ მწვადიაურში უნდა წაგიყვანოო. წავედით. იქ მისი ქვისლი-- მორდეხი გველოდა. მორდეხი ჩვენზე კარგა უფროსია--88 წლისაა, მაგრამ ჭაბუკურად გამოიყურება, არც ნაბიჯი ერევა, არც სიტყვა ეშლება. ჯანიც შესწევს და არც ცხოვრების ხალისი აკლია. მორდეხი სენაკში ჩვენი მეზობელი იყო. გვენათესავება კიდეც. მერე თბილისში გადმოსახლდა. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი თბილისში როგორ უფრო იყო ცნობილი: როგორც კარგი მომლხენი და მომღერალი, თუ როგორც შეჭირვებულთა ხელის გამმართავი. იმ დღეს, „მწვადიაურში" გამაოცა მისმა მეხსიერებამ--დავსხედით და არაბული სუნელებით შეზავებული „ზაკუსკა" მოგვართვეს თუ არა, შოთა გორგოძე გაიხსენა:

--რა კაცი იყო--პატისონებითა და ადამიანის სიყვარულით განათებული სული ედგა. მინისტრი იყო და კაცს რომ ციხეში სვამდა, ძალიან განიცდიდა. ცხრა აპრილის დილას ხალხის გვერდით დადგა-- თანამდებობის შენარჩუნებაზე კი არ უფიქრია, ის კი არ აწუხებდა, იქ, ზემოთ, რას მეტყვიანო, თავისი ხალხის მდგომარეობა უწეწავდა ნერვებს.

მე ილიკო, მოშიაშვილი გავიხსენე, ამ დღეებში მისი მეუღლე--ლიანა სეფიაშვილი აღესრულა. შვილებმა გამოაცხადეს კორონა მძვინვარებს--სამძიმარზე, გასვენებაზე ნუ მოხვალთ, ტელეფონით შეგვეხმიანეთო. რომ არა ლიანას გულითადი თანადგომა, ილიკო საქართველოში ვერც ამდენ პროექტს განახორციელებდა, ვერც ბაზალეთის ტბის პირას დიდებულ დასასვენებელ კომპლექსს წამომართავდა-მეთქი.

და შევუყევით მოგონებებს: იუდეველთა სახელმწიფოს გულის გულში ვისხედით ეს სამი ხანმორეული „ჰურიანი ქართველთა" და ცოცხალ, თუ გარდაცვლილ ქართველთ, იუდეველთ ვიგონებდით: მორდეხმა ჯუმბერ პატიაშვილი ხომ არის ცოცხალი, ქალაქში ქვეყანაში თუ ჩასსო. როგორ არა, ამასწინათ როინ მეტრეველის 80 წლის იუბილეზე ვნახე-მეთქი. მერე შალვა გორელაშვილი და რაფო ჩაჩანაშვილი ახსენა. მეც კარგად მახსოვს ეს ღირსეული კაცები--სხვათა ხელის გამმართავნი და დამფასებელნი. მათი კარგი საქმეებიც მახსოვს: დიდებული თვისება ჰქონდათ ამ ჩვენს „ცეხავიკებსა და „მაღაზიონერებს"(მაშინ ასე ეძახდნენ): კაცს, რომელიც მათნაირად არ იყო ჩაბმული შემოსავლიან საქმიანობაში და ხელფასით ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს, თუ რამ ქვეყნისთვის სასიკეთო გარჯას შეამჩნევდნენ, მეცნიერებას გახლდათ შეჭიდებული, თუ შემოქმედებით პროცესში იყო ჩართული, ხელს უმართავდნენ, ცდილობდნენ სიდუხჭირე არ ეგრძნოთ. აქედან გამომნდინარე, მათი მთავარი ღირსება ფინანსური ძლიერება--ბევრი ფული კი არ იყო, საზოგადო ინტერესებით ცხოვრება, მეგობართა წრეში უშურველობა.

--სიმონ ჯანაშვილი?--კითხულობს შოთა--ისიც ხომ...

მუდამ მომღიმარი კაცი იყო სიმონ ჯანაშვილი--პირბადრი და კეთილად მომკითხავი.

--პურმარილის, მოლხენის დიდად მოყვარული-- დასძენს მორდეხი.

--კარლო?

--აბა, კარლო?

--ზონენაშვილი. რა ბიჭი იყო!

კარლოზე ვსაუბრობთ, მისი და მისი ქალიშვილის-- ნაადრევ გაცლაზე წუთისოფლიდან.

მწვადები მზად არის და წაიღეთო, გვეძახიან. შოთას მწვადები მოაქვს. სხვადასხვანაირია

--ამის გარდა, ყველა მწვადია, ეს ქაბაბია--გვაცნობს შოთა.

მწვადებმა მოგონებებს გზა გადაუღობა, მაგრამ წარსულის სურათები იმდენად ძლიერ აღბეჭდილა სულში, ცოტა ხანში მორდეხი კვლავ მას უბრუნდება:

--ერთხელ სენაკში ხახამ ბენციონმა მითხრა, ჩემთან სახლში მოდიო .,შენ კარგი ხმა გაქვს და კარგადაც მღერი. ადამიანების სიმღერით ტკბობა კი დიდი მადლია. ახლა მე ერთ სიმღერას გასწავლი--იერუსალიმის მოტივზე გასწავლი და ასე უნდა იმღერო, არ გადაუხვიოო. მასწავლა. მას შემდეგ თითქმის სამოცდაათი წელიწადია. ისე ვმღერი, როგორც მასწავლა.

ხახამ ბენციონ ეფრემაშვილი--დინჯი, აუჩქარებელი მოძრაობის კაცი-- მეც კარგად მახსოვს. მის შემყურეს ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ჩემს სულში იმზირებოდა, ჩემს ფიქრებს ათვალიერებდა. ამბობდნენ, წინასწარმეტყველური ნიჭით არისო დაჯილდოებული--მომავლის ამომცნობი კაციაო. წინა საუკუნის ოციან წლებში ახალგაზრდა სასულიერო მოღვაწე იყო. იერუსალიმიდან საქართველოში გამოგზავნეს, რამდენიმე წელიწადი დარჩი, ჩვენს ძმებს ებრაელობის რწმენა განუმტკიცეო. ვეღარ დაბრუნდა-- ბოლშევიკებმა საზღვრები ჩაკეტეს და დარჩა საქართველოში--სენაკში გაატარა მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება.. პატარა ბიჭი ვიყავი--თავის სახლში გამგზავნა. მეუღლემ ქართული არ იცოდა--ძლივს გავაგებინე, რაც რაბიმ დამაბარა.

--სენაკის თეატრს ბიუჯეტი ისევ არა აქვს, ხომ?--მეკითხება მორდეხი--თქვენ პატარები ხართ და არ მოსწრებიხართ. რომ იცოდეთ, რა თეატრი იყო, რა მსახიობები!

შევარდნაძის დროს სახელმწიფო თეატრად გადაკეთდა და ფინანსდება კიდეც-მეთქი, ვამბობ მე.

--შენობა? ამხელა შენობას რა მოუვლის!--არ ისვენებს მორდეხი--კაი ხნისაა. ალბათ, იფშვნევა სულ!

--ივანიშვილმა საქართველოს ყველა თეატრს მოუარა. ყველა თეატრი ისე განაახლა, ავ თვალს არ ენახვება, სენაკის თეატრის რეკონსტრუქციაც სადაცაა დამთავრდება!

-- კაი მოგცეს ღმერთმა, კაი რამე შენ მითხარი--გული გამიხალისდა!--მპასუხობს მორდეხი და დაუყონებლივ მეკითხება: მერე? რას შვრებიან არტისტები--ვარგიან რამედ?

--რა ვიცი, რა გითხრათ. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემი პიესა დაიდგა მაგ თეატრში, ჩავედი. ვარგოდა, რატომაც არა!--ვამბობ და ვხედავ როგორ უნათდება მზერა მორდეხსაც და შოთასაც.

--ეეჰ, რო იცოდეთ, რა ბიჭები დადიოდნენ მაგ ქალაქში!--სინანულით ამბობს მორდეხი.

--სენაკში დღეს დათო ვახანიას სახელობის ქუჩა რომ არის, ის თუ გაიგეთ?--კითხულობს შოთა.

--დათო ვახანია?--ვერ ვიგონებ-- მე სკოლა დავამთავრე თუ არა, უნივესიტეტში ჩავირიცხე. სენაკში მხოლოდ არდადაგებზე ჩავდიოდი და გული ზღვისკენ მიმიწევდა. შოთა კი პოლიტექნიკურში დაუსწრებელზე სწავლობდა, სენაკში კარგა ხანს იყო და უკეთ იცის. დაუყონებლივ მპასუხობს;

--ექიმი რომ იყო, როგორ არ გახსოვს!

--ჰო, კი, გამახსენდა.

--მაგარი ბიჭი იყო--განათლებული, წესიერი და კარგი ექიმიც!--დასძენს მორდეხი--კი, ბატონო, მაგარი ბიჭები დადიოდნენ მაგ ქალაქში!

--თეატრში დადგმული ჩემი პიესის სანახავად რომ ჩავედი, ნაცნობები ვერ ვნახე. ერთადერთი ბავშვობისდროინდელი კაცი მელსი გრიგოლია იყო--სპექტაკლზე მოსულა.

--როგორ არი მელსი, რაფერ გამოიყურება?--მეკითხება შოთა.

--ნორმალურად, რა უჭირს. ეგ ხომ ძმებში უმცროსია.

--რას ამბობ, უმცროსი კოტე იყო. რა ღიმილი ჰქონდა, გახსოვთ?

--ის თუ იცით, მელსი რას ნიშნავს?--კითხულობს მორდეხი. შოთამ და მე ერთმანეთს გადავხედეთ. „რას უნდა ნიშნავდეს. ჩვეულებრივი სახელია" ჩავილაპარაკე.

--მელსი წინა საუკუნის 30-იან წლებშია დაბადებული. მაშინ ასეთი ამბავი ხშირად იყო: მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი. ბელადების სახელების პირველი ასოები.

--კარგი, შენ ეს მითხარი-- ის შენი მეგობარი როგორ არი--რა ერქვა? ჰო, ელიზბარი... გვარი გამახსენე.

--ჯაველიძე?

--ჰო ელიზბარ ჯაველიძე! სულ ჩხუბისკენ მიიწევდა, მაგრამ ძალიან კარგი გულის ბიჭი იყო. ხომ არი?

--კი როგორ არა! ეგ ბიჭი, სულ რომ საჩხუბრად რომ მიიწევდა, დღეს აკადემიკოსია და ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი.

მორდეხმა ქაბაბი დანით გადაჭრა, ჩანგალი ჩაარჭო და იკითხა:

--აბა, ახლა ამნაირი ამბავი: ხომ ხართ თქვენ სენაკელები, ხომ იქ გაიზარდეთ. მე სუჯუნაში დავიბადე, მაგრამ სენაკელად ვთვლი თავს--ბიჭობა იქ გავატარე. ერთი რამ მინდა ვიკითხო და მიპასუხეთ. სამივემ გავცეთ პასუხი ამ კითხვას--მორდეხმა ქაბაბი აიღო, აუჩქრებლად ღეჭავს, ან რა ღეჭვა ამას უნდა, პირში ჩადებისთანავე ლამის დნება--კითხვის დასმას არ ჩქარობს.

-- რა არი ამნაირი, რას გვეკითხები!

--ჩვენი დროის სენაკის მეგრელებიდან ცუდი ბიჭი--ავი და უვარგისი რომელი იყო--გლახად რომელი დაგამახსოვრდათ?

ამ შეკითხვამ ღიმილი მოგვგვარა.

--ჰო, რა იყო-- უბედურ და გაუტანელ კაცად რომელი შემორჩა მეხსიერებას--აღარა ხართ ბაღნები და კი უნდა იცოდეთ!

მე, ალბათ, შოთაც, გონების თვალით ჩვენი მშობლიური ქალაქის სკოლებს, ქუჩებს, პარკებს, ბიბლიოთეკას ვათვალიერებდით--იმ ადგილებს, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ვატარებდით და ის ადამიანები დაგვიდგა თვალწინ, ვისაც ხშირდ ვხვდებოდით. ვერაფერი მოვიგონეთ. შოთას გადავხედე. ფიქრში ჩაფლულიყო. დუმილი კარგა ხნის შემდეგ ისევ მორდეხმა დაარღვია:

--ვერავინ გაიხსენეთ, ხომ? კარგი! ახლა სხვა რამეს შეგეკითხებით: სონე ისრაელი? სონე ისრაელი თუ გახსოვთ ვინმე?--ჩაგვეკითხა ჩვენი პასუხის ლოდინით დაღლილი მორდეხი.

„სონე ისრაელ!" ასე იტყვიან ებრაელთა მოძულე კაცზე, ადამიანზე, რომელიც ამათუიმ მიზეზითა, თუ სრულიად უმიზეზოდ, ებრაელობისადმი მტრულად არის განწყობილი.

ირგვლივ ადამიანები ფუსფუსებენ, დროდადრო რაღაცას შესძახებენ, აქ, ამ კუთხეში კი, რომელშიც სუფრას სამეგრელოდან წამოსული სამი სენაკელი იუდეველი მისხდომია, დუმილი გამეფებულა. თითქოს მწვადების დასაგემოვნებლად კი არა, აქ იმისთვის მოსულან, ამ ტაბლასთან იმისთვის ჩამომსხდარან, იმას უყურონ, თუ როგორი ოხშივარი ასდის მწვად-ქაბაბს.

--ტყუილად იწუხებთ თავს, ვერ მოიგონებთ. წუხელი სენაკზე ვფიქრობდი, სენაკელებზე და ვერაფერი ისეთი ვერ მოვიგონე.

ირგვლივ ადამიანები ისევ ფუსფუსებდნენ. მიდიოდნენ, მოდიოდნენ და არავის წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმაზე, ერთ ტაბლასთან მჯდომი ეს სამი კაცი „მწვადიაურში" ასე ფიქრმორეული რატომ იყო.

ან საიდან უნდა სცოდნოდათ?

2020წ.

მეგრული სიმღერა

2003 წლის 22 იანვარს იერუსალიმში თავი მოიყარა მსოფლიოს ლამის ყველა კუთხეში მცხოვრებმა ქართველ ებრაელთა წარმომადგენლობამ. აქ, ისრაელის ერთ-ერთ უმთავრეს დარბაზში, „ბინიანეი ჰაუმაში" – „ერების სასახლეში", იქმნებოდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი. საბჭოთა კავშირის ერთ პატარა, მშვენიერ რესპუბლიკაში – საქართველოში მცხოვრები ებრაელები 20 წლის წინათ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმოიფანტნენ. დღეს ქართველი ებრაელები ცხოვრობენ ისრაელში (ყველაზე მეტი), აშშ-ში, რუსეთში, ბელგიაში, უნგრეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, ამბობენ ავსტრალიაშიცო და ცხადია, საქართველოში (ძალიან ცოტა). ამ ადამიანებმა ერთ ჭერქვეშ რომ იგრძნონ თავი, ამ მიმოფანტული ეთნოსის გაერთიანებისათვის იქმნებოდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი: შესაძლოა, ჩვენ სხვადასხვა კონტინენტებზე ვცხოვრობდეთ, მაგრამ მამა-პაპური ტრადიციების შენახვის სურვილი კვლავაც გვაერთიანებდეს.

ყრილობაზე კონგრესის პრეზიდენტად აირჩიეს მოშე (მიშიკო) მირილაშვილი.კაცი ერთობ საამო და იმერული ზრდილობით დამშვენებული, თანასთავმჯდომარეებად: შვეიცარიაში მოღვაწე მეცნიერი, პროფესორი შალვა მარდი-მარდახიაშვილი ქუთაისიდან წასული კაცი, ქ. აშქელონის ვიცე-მერი შაბთაი ცური-ცოციაშვილი, ვანიდან წასული კაცი და მე--თქვენი მონა-მორჩილი.

საღამოს დიდი კონცერტიც გაიმართა, მობრძანდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი, მოგვილოცა. მერე შალვა მარდი, ისრაელის ქართული ტელევიზიის რეჟისორი სოსო იოსებაშვილი და მე იერუსალიმის ტელევიზიაში მიგვიწვიეს. აქვეა ჩვენი შოუვარსკვლავი ვახტანგ ტატიშვილი. იგი თბილისიდან საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობისათვის მოიწვიეს. ღია ეთერში გაიმართა დიალოგი კონგრესის ამოცანებზე, იმაზე, თუ რას, როგორ და რით გააკეთებს კონგრესი. ბოლოს კი პროგრამის წამყვანი აცხადებს: სადაც სამი ქართველი შეიყრება, დიდებული სიმღერა ისმის, თქვენ კი, აგე თავმჯდომარეები, რეჟისორები...

შალვა მარდიმ დაუყოვნებლივ და უბრალოდ თქვა: რომ იცოდეთ, რა კარგი მსმენელი ვარ, გადაირეოდითო, სოსო იოსებაშვილმა უხმოდ გააქნია თავი. ჯერი ჩემზე მოდგა, ვიცოდი, რომ მოდგებოდა, რადგან ვახტანგ ტატიშვილი კადრში არ იყო, იგი ჩვენს მერე გავიდოდა ეთერში – იუმორით. ამიტომ ახლა თუ მე არ გამოვასწორებ მდგომარეობას, საქმე ძალიან ცუდადაა. მე უნდა ვიმღერო, მაგრამ როგორ? მე ხომ არც ხმა მაქვს, არც – სმენა, ჩემთვის სახლში თუ წამიღიღინია, თორემ მსოფლიოში ვერავინ იტყვის, გინა სიჭაბუკეში, გინა ახლა, სიჭარმაგისას, ამისი სიმღერა გამიგიაო, არადა, სხვა გზა არ არი... როგორ, რანაირად? და უცებ თითქოს თავისთავად, ავმღერდი. „ასე ჩონგური ქოვთქუათი..." შიშმა ამამღერა? საქართველოს, ქართველი ებრაელობის შერცხვენის შიშმა? მე სამეგრელოში გაზრდილი კაცი ვარ, მიმაჩნია, რომ მეგრული მუსიკალური ფოლკლორი მსოფლიოში გამორჩეულია, იგი მშობლიურია და ძლიერ მიყვარს, დროდადრო ჩემთვის წავიღიღინებ ხოლმე. ახლა მშობლიურმა ამოხეთქა?

კარგად მიდის, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, სუნთქვა მღალატობს, სუნთქვა ნამდვილად მღალატობს. ისე რომ კადრში არ გამოჩნდეს, ვახო ტატიშვილს ვანიშნებ, მიშველე-მეთქი, ისე ლამაზად „შემოვიდა", ისე ლამაზად „ჩამომართვა" სიმღერა, მერე მეც მივყევი, ვგრძნობდი, კარგად გამოდიოდა.

მერე? მერე რა მოხდა? განსაკუთრებული არაფერი, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ სამეგრელოდან წასული ებრაელები აფორიაქდნენ – მთელი საღამოს განმავლობაში რეკავდნენ, ეს რა გვიყავი, ლამის ცრემლმორეული ვისმენდითო.

2005 წ.

მუნიციპალიტეტის მერიაში
შეხვედრა ფალავანებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, წარმატებულ სენაკელ ფალავანებს, ახალგაზრდებს შორის ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონს, გიორგი ჩხიკვაძეს, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელს, ლუკა ოჩიგავას და მათ მწვრთნელებს - ვალერი მურღულიასა და რამაზ კოკაიას შეხვდა.

მუნიციპალიტეტის მერმა სენაკელ სპორტსმენებს მოპოვებული უდიდესი გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

შეხვედრას მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სასპორტო გაერთიანების დირექტორი ჯუმბერ ლაშქარავა და ამავე გაერთიანების დირექტორის მოადგილე ნუგზარ ძაძამია ესწრებოდნენ.

გიორგი ჩხიკვაძე 2008 წლიდან ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეა.

ჭაბუკთა შორის საქართველოს ორგზის ჩემპიონმა, ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის საქართველოს ერთგზის ჩემპიონმა, მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ევროპის ორგზის პრიზიორმა, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულმა, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ტიტულის მფლობელმა სენაკელმა ფალავანმა, გიორგი ჩხიკვაძემ, გერმანიის ქალაქ დორტმუნდში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდული პირველობის ფინალურ შეხვედრაზე, უნგრელი ტოესმაგი, დამაჯერებელი ანგარიშით - 4:1 დაამარცხა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ჰიმნი მესამედ ააჟღერა.

სენაკელი ფალავანი ლუკა ოჩიგავა 10 წელია, რაც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეა.

საქართველოს ორგზის ჩემპიონი, ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი, საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული, ლუკა ოჩიგავა, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

გერმანიის ქალაქ დორტმუნდში მიმ დინარე ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე, შეხვედრის პირველივე წუთებში, ლუკამ, სრული უპირატესობით - 10:0, უნგრელი პოილეჩი დაამარცხა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია, წარმატებულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს, ერთჯერად ფულად ჯილდოს გადასცემს.

ქუჩის ხელოვნების პირველი ნიმუშები

სენაკში ქუჩის ხელოვნების - Street art -ის პირველი ნიმუშები შეიქმნა.

თეატრალურ მოედანზე, ყოფილი სასტუმრო „ეგრისის“ კედელზე, სულხან-საბა ორბელიანის გამონათქვამისა და ტრადიციული სენაკური წითელი აგურის სახლების მოტივების გამოყენებით, კედლის ორიგინალური მხატვრობები მოეწყო.

კედლის თემატური მოხატვა ასევე მიმდინარეობს ჯემალ აჯიაშვილის სახელობის სკვერში, რომელიც გამოჩენილ ქართველ ებრაელს, სენაკური წარმოშობის მწერალს, მთარგმნელს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ჯემალ აჯიაშვილს ეძღვნება.

პროექტი საინიციატივო გაერთიანება „ჩვენი სენაკის" ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ეწყობა და, სამომავლოდ, ქალაქის სხვა უბნებსაც მოიცავს.

კედლის მხატვრობები სენაკში ხორციელდება International Alert და „კავკასიური სახლის" პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ.

ტურიზმის განვითარების კუთხით

დატკბი ნოქალაქევის ციხე-გოჯის უნიკალური სანახებით, სილამაზით გამორჩეული ქალაქის ხედებით - შხეფის ციხიდან თუ განახლებული ასსაფეხურიანი კიბიდან, ისიამოვნე სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციებით - ბეთლემში, დატკბი უნიკალური ბუნებით, აღმოაჩინე და შეისწავლე ისტორიული ადგილები...

სენაკის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლების მანძილზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, უპრეცენდენტო მასშტაბის პროექტები განხორციელდა, მიმდინარეობს და იგეგმება, რაც ტურისტული მიზიდულობის კუთხით, თვისობრივად ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

გრძელდება კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის, ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის სრული რეაბილიტაცია.

რეაბილიტაციისა და კონსერვაციის სამუშაოებმა ნაქალაქარის ყველა სეგმენტი მოიცვა.

პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა, სადაც, ექსპოზიციის სახით, ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები გამოიფინება.

ახალ მუზეუმშივე განთავსდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, რომელიც დასავლეთ საქართველოში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიმდინარე არქეოლოგიურ მისიებს მოემსახურება.

2020 წლის ბოლოს, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარედ, განხორციელდა პარკინგისა და ასფალტირების სამუშაოები. შედეგად, განახლებული ინფრასტრუქტურითა და კეთილმოწყობილი პარკინგით, მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მრავალფუნქციური სივრცე შეემატა.

რეაბილიტირდა მდინარე ტეხურის ხიდთან და „დედამოკას" თერმულ წყლებთან მისასვლელი გზა.

2020 წელს, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში, პროექტის „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით" ფარგლებში, ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი მოეწყო.

ყველა მსურველს ეძლევა შესაძლებლობა, გაერთოს სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციებით: „თოკების პარკით"; 130 მეტრი სიგრძის ზიპლაინით;

აქვეა ღია ბაზრობა - ადგილობრივი მეწარმეებისთვის პროდუქციის გაყიდვა-პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის; პარკირება / ავტოკემპინგის ზონა; ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმა.

ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმ -ნაკრძალს, 2020 წელს, ვიზიტორების მომსახურეობისთვის ახალი სერვისი შეემატა. სამუზეუმო სივრცის ვიზიტორებს ელექტრო ტრანსპორტი მოემსახურება. ელეტრო ტრანსპორტი მუზეუმ-ნაკრძალის დამატებითი ატრაქცია იქნება და ტურისტებს ტერიტორიაზე კომფორტულ გადაადგილებაში დაეხმარება.

ტურისტული თვალსაზრისით კიდევ ერთი მასშტაბური პროექტია სახოკიას ქუჩიდან ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლის - შხეფის ციხემდე მისასვლელი გზის კაპიტალური რეაბილიტაცია.

ათეული წლების შემდეგ, პირველად, გაჩნდა განსაკუთრებული მდებარეობითა და არქიტექტურით გამორჩეული ძეგლის კომფორტული დალაშქვრის შესაძლებლობა. ამ ადგილიდან შთამბეჭდავი პანორამა იშლება - ჰორიზონტი, ქალაქის ულამაზესი ხედებით... პროექტის ფარგლებში, არსებულ მოედანზე ასევე მოეწყო ასფალტო-ბეტონის საფარი. აქვე იგეგმება გარე განათების ქსელის მოწყობა.

ბალნეოლოგიურ კურორტ მენჯის სამომავლო აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, ხაზგასასმელია მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის ასფალტირების მასშტაბური პროექტი, რომელიც სამი ათეული წლის შემდეგ, პირველად, მიმდინარე წელს განხორციელდა.

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის საჩიქობავოს უბანში, დიდი ქართველი ენათმეცნიერის, არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმამდე მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარი მოეწყო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია ასევე გეგმავს არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმისთვის ოდის შეძენას, სადაც ახალი სამუზეუმო სივრცე მოეწყობა.

უახლოეს დღეებში ასევე დაიწყება ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი შემდეგი მნიშვნელოვანი სამუშაოები:

ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის კომპლექსისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია;

საკირეს მთაზე არსებულ ჯვართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ასევე აქვე, პარკინგისა და განათების სისტემის მოწყობა LED სანათებით;

მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელ გზაზე, LED ნათურებით, განათების ქსელის მოწყობა.

ეს და სხვა პროექტები, ლევან კუპრეიშვილის მერობის პერიოდში, მისი უშუალო ინიციატივითა და ძალისხმევით განხორციელდა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

„სენაკის Art ფესტივალი 2021“

„სენაკის ხელოვნების ფესტივალი”, რომელიც არსებობის მე-7 წელს ითვლის და ემსახურება მოზარდი თაობის მუსიკალურ - ესთეტიკური აღზრდის საპატიო საქმეს, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას და დაკვალიანებას პროფესიული მიმართულებით, დაარსდა 2013 წელს და მისი დამფუძნებელი, უცვლელი ხელმძღვანელი და მოსწავლეთა საფესტივალო მოსმენის ჟიურის თავმჯდომარე არის, საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, საქართველოს ხელოვნების აკადემიის დირექტორი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ჟიურის წევრი, მსოფლიოში ცნობილი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი.

პირველ ფესტივალს 2013 წელს ერქვა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფესტივალი, სადაც მხოლოდ ამ რეგიონის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლები მონაწილეობდნენ. 2014 წელს ფესტივალის საზღვრები გაფართოვდა და მოიცვა მთელი დასავლეთ საქართველო რიკოთის უღელტეხილს გამოღმა აჭარის რეგიონის ჩათვლით.

„სენაკის ხელოვნების ფესტივალი” ღირსშესანიშნავი მოვლენაა, როგორც სენაკელი მუსიკოსების, მოსწავლეების, მათი მშობლებისა და მუსიკისმოყვარულებისათვის, ასევე მთელი დასავლეთ საქართველოს სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებისათვის, მუსიკის პედაგოგებისათვის, მშობლებისათვის.

ფესტივალი ჩატარდა 2014 – 2019 წლებში, რომლის საკონცერტო ნაწილი მდიდარი იყო მსოფლიოში ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლების არაჩვეულებრივი შესრულებით, წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ჟანრი: კლასიკა - საფორტეპიანო, საორკესტრო, კლასიკური ვოკალი,კლასიკური გიტარა, აკორდეონი... ფოლკლორი - ხალხური, ქალაქური; ესტრადა - არაჩვეულებრივი ქართველი საესტრადო მომღერლები, ჯაზსექსტეტი... იყო შეხვედრები ცნობილ კომპოზიტორებთან,თეატრალებთან, სიმებიან კვარტეტებთან...სენაკი ამ პერიოდში ცხოვრობდა სავსე მუსიკალური ცხოვრებით, რომელიც ერთნაირად სასიამოვნო და სასიხარულო იყო, როგორც მუსიკოსებისათვის, ასევე ქალაქის ყველა თაობის მსმენელისა და მაყურებლისათვის... იყო თხოვნა და სურვილი მათგან: „კიდევ როდის გვექნება ასეთი ლამაზი დღეები”...

ასევე წარმატებით მიმდინარეობდა ნორჩ მუსიკოსთა მოსმენები - თითქმის ყველა ჟანრში, ფესტივალში მონაწილეობდნენ ნორჩი პიანისტები, მევიოლინეები, ალტისტები, ჩელისტები, კლარნეტისტები, ჰობოისტები, ფლეიტისტები, ბლოკფლეიტისტები,საქსოფონისტები; კლასიკური ვოკალისტები, საესტრადო მომღერლები, ფოლკლორული ანსამბლები...მოსმენებმა გამოავლინა ნიჭიერი ბავშვები, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფესტივალის მაღალი ჯილდოებით და ფესტივალის ჟიურის რეკომენდაციებით გაგზავნილ იქნენ საზღვარგარეთ, ბავშვთა და ახალგაზრდულ საერთაშორისო კონკურსებზე, სადაც ასევე მოიპოვეს საპრიზო ადგილები და საზღვარგარეთ სამუსიკო სასწავლებლებში სწავლის უფლება, ამ ფესტივალის აღმოჩენები დღესაც წარმატებით აგრძელებენ მუსიკალურ კარიერას, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ.

2020 წელს ფესტივალი ვერ ჩატარდა მსოფლიოში არსებული კოვიდინფექციის აქტიური ფაზის გამო.წელს ფესტივალის ხელახლა დაბადებამ დიდი სიხარული მოუტანა სამეგრელოს,იმერეთის, გურიის,აჭარის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებს,მათ პედაგოგებს,რაც გამოიხატება მათ გამონათქვამებში, რომ არ უნდოდათ კიდევ ერთხელ გაეცდინათ ეს ფესტივალი და პირდაპირ მოითხოვეს მისი ჩატარება. არსებული პანდემიის გათვალისწინებით „სენაკის ხელოვნების ფესტივალი - 2021” ჩატარდა რეგულაციების სრული დაცვით. ხელოვნების ცენტრის შემოსასვლელში ფუნქციონირებდა თერმოსკრინინგი, სამუსიკო სკოლის დარბაზში მოსწავლეთა მოსმენებზე დაშვებული იყვნენ ერთდროულად მხოლოდ თითო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, რომელთა რაოდენობა არ აღემატებოდა დარბაზის ფართის შესაბამის რიცხვს - 30 კაცამდე. დღეში ისმინებოდა 2-3 სკოლა, მოსწავლეები დარბაზში ამოდიოდნენ მხოლოდ წინა სკოლის მოსმენის დამთავრების შემდეგ, რომლებიც გამოსვლისთანავე ტოვებდნენ დარბაზს, რომ დაცული ყოფილიყო ადამიანთა რაოდენობის ბალანსი. გასულ წლებში ფესტივალში მონაწილეთა რიცხვი წელიწადში აღემატებოდა 2000-ს, წლევანდელ ფესტივალში კოვიდპანდემიის გააქტიურების და

მოსწავლეთა არდადეგების გამო, შედარებით მცირე იყო მოსწავლეთა რაოდენობა - 350 - მდე. 2021 წელს ფესტივალში მონაწილეობდნენ: იმერეთიდან: ქუთაისის(4 სკოლა და სასწავლებელი),ზესტაფონის(2 სკოლა),ბაღდათის, ხონის, სამტრედიის სოფ. ტოლების სამუსიკო და სახელოვნებო სკოლები; სამეგრელოდან: სენაკის, აბაშის,ხობის,ზუგდიდის(I,II და საგუნდო სამუსიკო) სკოლები; გურიიდან: ლანჩხუთის, სუფსის სამუსიკო სკოლები; აჭარიდან - ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო თერთმეტწლედი.

ფესტივალში მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები, ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისათვის, საპატიო დიპლომები დაიმსახურა 100 - მა მოსწავლემ, ლაურეატის წოდება მიენიჭა 30 მოსწავლეს და ანსამბლებს. სკოლებმა წარმოადგინეს საფორტეპიანო, საორკესტრო(ვიოლინო, ალტი, ფლეიტა) ნაწარმოებები, კლასიკური და საესტრადო ვოკალი, კლასიკური გიტარა და ხალხურ საკრავთა ანსამბლები.

სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლიდან ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 60- მა მოსწავლემ, მათ შორის 25-მა სოლისტმა - 22-მა პიანისტმა, 2-მა მევიოლინემ,1-საესტრადო ვოკალმა, და 4-მა ანსამბლმა, მათ შორის: მევიოლინეთა და გიტარისტთა ოქტეტმა, გიტარისტთა კვარტეტმა, გიტარისტთა კვინტეტმა და ხალხურ საკრავთა ანსამბლმა „მორდუმ”.

სენაკელმა მოსწავლეებმა სხვა წლებთან შედარებით ლაურეატის წოდების რეკორდული რაოდენობა მოიპოვეს: 8 ლაურეატიდან 4 - პიანისტია, 4 - ანსამბლი; საპატიო დიპლომები დაიმსახურა 10 - მა მოსწავლემ, 11 მოსწავლეს გადაეცა სიგელი ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისათვის.ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ, ვ. შიუკაშვილმა საჯაროდ მადლობა გადაუხადა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის დირექტორს, ბატონ ვ. ვეფხვაძეს და სამუსიკო სკოლის მთელს პედაგოგიურ კორპუსს ამ რთულ პერიოდში ასეთი კარგი შედეგებისათვის.

მოსწავლეთა მოსმენების პარალელურად მიმდებარე პარკში გაიმართა კონცერტები ფესტივალის ფარგლებში. საფესტივალო კონცერტებზე წარმოდგენილი იყო: არაჩვეულებრივი ჯაზ-სექსტეტი „კვინტესენსი”, რომელმაც უდაოდ მოხიბლა მსმენელი და მაყურებელი აკაპელად შესრულებული სხვადასხვა ფოლკ და ჯაზური კომპოზიციებით; ცნობილი საესტრადო მომღერალი, ნეკა სებისკვერაძე, რომელმაც თავისი ლირიული რეპერტუარითა და თბილი შესრულებით დიდი სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს; პოპულარული საესტრადო მომღერალი, იურმალის ახალგაზრდა შემსრულებელთა 2006 წლის კონკურსის „ახალი ტალღა” III პრიზიორი - სოფო ხალვაში, 2007 წელს სოფომ საქართველო წარადგინა ევროვიზიის კონკურსზე, სადაც იგი ფინალისტი გახდა. სოფო ხალვაშმა თავის ცნობილ ჰიტებთან ერთად შეასრულა ლირიული და რიტმული უცხოური სიმღერები და მსმენელთა ოვაციები დაიმსახურა „სენაკის ხელოვნების ფესტივალმა ასევე უმასპინძლა ქართველ ჯაზ - ვუმენს, მაია ბარათაშვილს, რომელსაც რამდენიმე წლის უკან მადლიერმა საზოგადოებრიობამ თბილისის ფილარმონიის წინ ვარსკვლავი გაუხსნა, მან შეასრულა არაჩვეულებრივი ინგლისური და ქართული ჯაზური კომპოზიციები და მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა. კონცერტის დასასრულს მომღერალმა, ოვაციების ფონზე შეასრულა მეგრული ხალხური სიმღერა ჯაზური არანჟირებით.

ფესტივალის ერთი დღე დაეთმო მის დამაარსებელს, საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატს, პიანისტ ვალერიან შიუკაშვილს, რომელმაც კოვიდპანდემიის რეგულაციების სრული დაცვით, 2 სოლო კონცერტი გამართა ყველა მსურველისათვის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში, პიანისტმა შეასრულა ფ. შოპენის, ა. სკრიაბინის ნაწარმოებები, მსმენელები დიდხანს უკრავდნენ ტაშს ცნობილ პიანისტს...კონცერტს ესწრებოდნენ სენაკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სტუმრები სამტრედიიდან ქუთაისიდან, ლანჩხუთიდან... 6 ივლისს ფესტივალი დაიხურა საზეიმო გალა - კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ ფესტივალის ლაურეატები, გალა-კონცერტი გაიმართა ღია ცის ქვეშ, მიმდებარე პარკში, ლამაზი და საინტერესო პროგრამით, კონცერ-

ტის პარალელურად ფესტივალში მონაწილე სკოლები დაჯილდოვდნენ მადლობის დიპლომებით და სკოლის დირექტორებს გადაეცათ მოსწავლეთა ჯილდოები.

ვალერიან შიუკაშვილმა, კოვიდპანდემიის რთულ პერიოდში ფესტივალის მხარდაჭერისათვის, დიდი მადლობა გადაუხადა სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ლევან კუპრეიშვილს,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თავმჯდომარეს ბატონ კახა რუსიას, სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსს ბატონ გივი მისაბიშვილს,სამსახურის მთავარ სპეციალისტს

ირმა კუპრეიშვილს და ყველას, ვინც გარკვეული შრომა ჩადო ამ ფესტივალის მეორედ დაბადებისათვის.

გალა კონცერტი ტრადიციულად მიჰყავდა ფესტივალის თანადამაარსებელს, ჟიურის უცვლელ წევრს, რუსუდან მილიუტინს, ფესტივალი დაიხურა საზეიმო ფოიერვერკით, საქართველოს ჰიმნისა და ვაჟა აზარაშვილის სიმღერის „მუსიკა”-ჰანგებით... ფესტივალი ერთი წლით დაემშვიდობა სენაკს და დასავლეთ საქართველოს ...

იმედს არ ვკარგავთ, რომ მომავალი წელი, კოვიდპანდემიის მხრივ უფრო მშვიდობიანი იქნება და ფესტივალში მონაწილეობის მსურველთა და თავისი ხელოვნების ფართო აუდიტორიისათვის ჩვენების მსურველთა რიცხვი კვლავ ჩვეულ ნიშნულს მიუახლოვდება.

რუსუდან მილიუტინი

მასობრივი იმუნიზაციის პროცესი აქტიურ ფაზაში შედის

მიმდინარე თვეში საქართველომ სინოვაკისა და სინოფარმის მილიონი დოზა მიიღო და ქვეყანამ 5 ივლისიდან მასობრივი ვაქცინაცია დაიწყო. გარდა ამისა პარალელურად კეთდება ასტრაზენეკა. 14 ივლისს კი შემოვიდა ფაიზერის 28 ათასი დოზა. მასობრივი იმუნიზაციის დაწყებამდე ორი დღით ადრე შესაბამის ვებ პორტალზე კიბერშეტევისა და მოგვიანებით მაღალი მომართვიანობის გამო მოქალაქეები რეგისტრაციას ვერ ახერხებდნენ, თუმცა პრობლემა მალე მოგვარდა და რეგისტრაცია შეფერხებით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. ჩვენი მუნიციპალიტეტიც შესაბამისად აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. მომატებულია მომართვიანობა ვაქცინაზე. ადამიანებს შეუძლიათ თავად დარეგისტრირება მაგრამ, იმათ ვისაც არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა შეუძლიათ პოლიკლინიკაში დარეგისტრირდნენ. მიუხედავად მაღალი მომართვიანობისა და ვებ გვერდის გადატვირთვისა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ყველანაირად ცდილობს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას მოსახლეობას და უპრობლემოდ მოხდეს აცრის მსურველთა რეგისტრაცია.

ჩვენ როგორც ყოველთვის თვალს ვადევნებთ და ვაშუქებთ იმუნიზაციის პროცესს და დღესაც მოკლედ გთავაზობთ იმ ადამიანების მოსაზრებებს იმუნიზაციის პროცესზე, რომლებმაც უკვე გაიკეთეს ვაქცინა.

ნოდარი ლომია – დღეს გავიკეთე სინოფარმის ვაქცინის პირველი დოზა. თავს ვგრძნობ მშვენივრად. არანაირი გვერდით მოვლენები არ მქონია. ჩვენს მოსახლეობას ვურჩევ გაიკეთონ აცრა, რადგან ეს აუცილებელია იმისათვის, რომ გადავრჩეთ .

ლუიზა მირცხულავა – ვმუშაობ სენაკის „არქიმედეს“ კლინიკაში რეგისტრატორად. მე ვფიქრობ, რომ ამ პანდემიის დროს ვაქცინაცია იმდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ მთელი ჩვენი მომავალი დამოკიდებულია ამაზე. ჩემი დიდი სურვილია, ხალხმა ეს კარგად შეიგნოს. გამოსავალს მხოლოდ ამაში ვხედავ.

ლავანდა ხურცილავა –სენაკის ამბულატორიულ პოლიკლინიკური გაერთიანების მედდა. დღეს ისეთი ეპიდ მდგომარეობა გვაქვს, რომ თითოეული ჩვენთაგანის მოქალაქეობრივი ვალია ვაქცინაციის პოცესს ჩავერთოთ. მე პირადად აცრა გავიკეთე იმისათვის, რომ გვქონდეს მომავალი, იმისათვის რომ ვიმუშავო ნორმალურად, უშიშრად და თავისუფლად. ძალიან მიხარია მოსახლეობის აქტიურობა. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ გაიაზრეს ვაქცინაციის ეფექტურობა პანდემიის დასამარცხებლად. მინდა მივმართო მოსახლეობის იმ ნაწილს, ვასაც ჯერ კიდევ აქვს შიში და ილუზია იმისა, რომ ვაქცინამ შეიძლება ავნოს. არავითარი გართულება არ ყოფილა, ყველაფერი მიმდინარეობს მშვიდად და გართულებების გარეშე. მე კიდევ ერთხელ ვთხოვ და მოვუწოდებ ჩვენს მოსახლეობას მეტი აქტიურობა გამოიჩინონ და უფრო მეტი სანდოობა დააფიქსირონ ვაქცინაციის პროცესის მიმართ, ვინაიდან ეს ნამდვილად ერთადერთი გზაა პანდემიის დასრულებისა.

ნანა მიგინეშვილი –კლინიკა „სენამედ“-ის მედდა. ჩემი აზრით ვაქცინაცია არის აუცილებელი, როგორც საკუთარი თავისთვის ასევე სხვისთვის, რადგან ვთვლი, რომ ჩვენ ამით ერთმანეთს ვიცავთ. ჩვენს სამედიცინო დაწესებულებაში „სენამედ“-ში ფუნქციონირებდა კოვიდ ცენტრი. იქ იყო ენით აუწერელი ურთულესი მდგომარეობა. იყვნენ უიმედო პაციენტები. ჩვენი თითოეული თანამშრომელი, რომლებიც იქ ვმუშაობდით ყოველდღიურად გავდიოდით სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, რადგან დიდი იყო ალბათობა ვირუსის გადადებისა. იყო შიში და უიმედობა. ნამდვილად აღარ მინდა მსგავსი მდომარეობა განმეოდეს. ამიტომ გამოსავალი მხოლოდ იმუნიზაციის პროცესის გააქტიურება და წარმატებით დასრულებაა. მინდა თითოეულ სენაკელს და არა მარტო ჩვენი ქალაქის მოსახლეობას, არამედ მთელ საქართველოს მოვუწოდო, გაიკეთონ ვაქცინა. ეს არის ერთადერთი გზა, რითაც შევძლებთ დავამარცხოთ „უხილავი მტერი“, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო ებრძვის.

ლუარა ხურცილავა –პროვიზორი. მაქვს საკუთარი აფთიაქი და ვიყავი მუდამ შიშის ქვეშ, რადგან ვირუსისგან დაცულად არ ვგრძნობდი თავს. ამიტომ გადავწვიტე გამეკეთებინა ვაქცინა. დღეს ავიცერი „სინოფარმის“ პირველი დოზით. თავს ვგრძნობ შესანიშნავად. მინდა ყველას ვუთხრა, რომ საშიში არაფერი არ არის. ჩემი თხოვნა იქნება ყველამ გაიკეთოს ვაქცინა. ამ მეტად მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დროს ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რათა დავუბრუნდეთ ნორმალური ცხოვრების რიტმს. დარწმუნებული ვარ ყველას სურვილიც ეს იქნება. თითოეულ სენაკელს ვუსურვებ ჯანმრთელობას, მშვიდ ცხოვრებას და პანდემიის დასრულებას.

ომარი ხუბუა– სენაკის მკვიდრი. დღეს მოვედი და გავიკეთე „სინოფარმის“ პირველი დოზა. დიდი ხანი ვიკავებდი თავს, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ ამის გარეშე ამ ვირუსის დასრულება შეუძლებელი იქნება. ეხლა ვარ მშვიდად და დაწმუნებული ვარ, რომც დამემერთოს ამ ვირუსს ჩემი ორგანიზმი ადვილად გადაიტანს. ჩვენს მოსახლეობას ვეტყოდი ერთ რამეს: თუ გვინდა ცხოვრება, ჯანმრთელობა და დაბრუნება ნორმალურ ყოველდღიურ ცხოვრებაში აცრა უნდა გავიკეთოთ. სხვანაირად ჩემი აზრით წარმოუდგენელია პანდემიის დარულება.

ნოდარ არღვლიანი –აფხაზეთიდან დევნილი. ვარ 75 წლის შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამ ხნის მანძილზე თავიც კი არ წამომტკენია, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, რომ გავიკეთო ვაქცინა. მე ამით ვიცავ, როგორც ჩემი ოჯახის წევრებს ისე ჩემს გარშემომყოფ ახლობლებსა და მოკეთეებს. მოვუწოდებ ყველას დავიცვათ ერთმანეთის სიცოცხლე და ხელი შევუწყოთ იმუნიზაციის პროცესს. თუ ნებას მომცემთ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა მომსახურე პერსონალის შესახებ. ყველას მიმართ მინდა გამოვხატო უდიდესი მადლიერება ასეთი მომსახურებისთვის, სითბოსთვის, სიყვარულისთვის და გულისხმიერებისთვის. ღმერთმა მოგცეთ ენერგია და სტიმული, რათა ემსახუროთ ჩვენს მოსახლეობას.

ომარი ყურაშვილი – ჩემი აზრით და ალბათ ბევრიც დამეთანხმება, რომ ერთი, ორი და თუნდაც ასი ადამიანის აცრას არანაირი აზრი არ აქვს. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს მასიურად, მოსახლეობამ უნდა შეიგნოს, რომ გამოსავალი მხოლოდ იმუნიზაციის პროცესის დასრულებაზე გადის. ძვირფასო სენაკელებო! მოგიწოდებთ, მობრძანდეთ ჩვენს პოლიკლინიკაში თქვენ აქ ყველანაირად გვერდში დაგიდგებიან და დაგაკვალიანებენ. გისურვებთ ჯანმრთელობას.

ოლეგი მიქიაშვილი – პედაგოგი. დღეს გავიკეთე „სინოფარმის“ პირველი დოზა. თავს ვგრძნობ კარგად, არანაირ გართულებას ადგილი არ ჰქონია. მინდა დავამშვიდო ის ადამიანები, ვისაც ჯერ კიდევ შიში აქვს. ეს არის ვაქცინა, რომელსაც არანაირი გვერდი მოვლენა არ ახასიათებს. ჩვენს ქვეყანას ვუსურვებ ეს მძიმე პერიოდი ღირსეულად დაეძლიოს. დავიბრუნოთ მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება. ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას.

დონარა კუპრეიშვილი – პენსიონერი, სოფელ გეჯეთის მკვიდრი. ვარ 81 წლის პენსიონერი. მიუხედავად ბევრი სიძნელეებისა ჩემი ცხოვრების მანძილზე არ მახსოვს ასეთი მძიმე და საშიში დრო ჰქონოდეს ჩვენს ქვეყანას. ცუდი ინფორმაციები მოდის ტელევიზიიდან და უკვე ჩვენს ირგვლივაც იმატა ვირუსმა. შემეშინდა და მივხვდი, რომ აცრის გაკეთება აუცილებელია. მიუხედავად ჩემი ასაკისა ავადმყოფობას ძალიან არ შევუწუხებივარ, მაგრამ უბრალოდ შიშმა დამღალა. ამიტომ მოვედი აცრის გასაკეთებლად. ჩემი ოჯახის მეგობარმა ქალბატონმა დამეხმარა დარეგისტრირებაში და დღეს უკვე მშვიდად ვარ, ვიცი რომც დამემერთოს ვირუსი ადვილად გადავიტან. ყველას გირჩევთ გაიკეთოთ აცრა. ჩვენს მოსახლეობას ვუსურვებ ჯანმრთელობას.

ვაქცინაციის პროცესი გრძელდება. იმედი გვაქვს, რომ მასში ჩაერთვება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი ნაწილი. პანდემია აუცილებლად დასრულდება განვაახლებთ ადამიანურ ურთიერთობებს და დავიბრუნებთ ცხოვრების ძველებურ რიტმს.

მარიკა მიქაბერიძე

ვინ და რატომ მოკლა აკაკი ელიავა?

ეს ტრაგედია, 2000 წლის 9 ივლისს ქ. ზესტაფონში დატრიალდა. „ხუნტის ჯალათებმა" საქართველოს კანონიერი პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლები: აკაკი (კაკო) ელიავა და გოჩა გვილავა, განსაკუთრებული სისასტიკით, მუხასნათურად, ლაჩრულად, ზურგში სროლით სიცოცხლეს გამოასალმეს.

არიან ადამიანები, რომელთა მიწიერი სიცოცხლე მხოლოდ პირადი კეთილდღეობის ზრუნვასა და ფიქრში გაივლის, მაგრამ იბადებიან ისეთნი, რომელნიც მხოლოდ მამულის და სამშობლოს სიყვარულით იღვწიან. სწორედ ასეთები იყვნენ აკაკი ელიავა და გოჩა გვილავა. მათთვის უპირველესი იყო სამშობლო- ოდაბადე „ენა, მამული, სარწმუნოება".

ვინ იყო აკაკი ელიავა? ერთი უპატიოსნესი კაცი, ჭეშმარიტი სენაკელი. თავის ოდაბადეზე და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, სწორედ ეს არ აპატიეს- თავდაპირველად მუშაობდა სენაკის სახელმწიფო თეატრში ადმინისტრატორად.

1990 წლიდან საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ეროვნული გვარდიის მებრძოლია. 1991 წელს სენაკის ბატალიონის მეთაურის კონსტანტინე კურდღელიას მოადგილეა.

კურდღელია, გამსახურდიას თბილისიდან წასვლისას მცხეთის ხიდთან „ხუნტის ჯალათებმა" ჩაცხრილეს. უმეთაუროდ დარჩენილ სენაკის № 2 ბატალიონს, უკვე ექსპრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აკაკი ელიავას უნიშნავს ხელმძღვანელად.

1993 წელს ელიავა აფხაზეთის ომში იბრძვის. სოხუმის დაცემის მთავარ დამნაშავედ შევარდნაძის ხელისუფლება სხვა „ზვიადისტებთან" ერთად ელიავასაც თვლის. თუ არადა ე.წ. დაგომისის (სოჭის) ხელშეკრულება კლასიკური მაგალითია იმჟამინდელი მთავრობის ღალატისა(სოხუმში სწავლის დაწყება, მშვიდობიანი მაცხოვრებლების დაბრუნება, შევარდნაძის უსაფრთხოების გარანტიით) და ვინ მოთვლის რამდენი რამ.

1993 წელს ელიავა სენაკის ტერიტორიაზე განთავსდა, უზრუნველყოფს პრეზიდენტის უსაფრთხო დაბრუნებას სენაკში და დროებით აღადგენს გამსახურდიას ხელისუფლებას. პრეზიდენტი მას ანიჭებს პოლკოვნიკის წოდებას და იგი სამხედრო საბჭოს წევრი ხდება.

გოჩა გვილავა – გალის პარტიზანული რაზმის უფროსი, შემდეგ სენაკის №3 ბატალიონის მეთაურის, ელიავას მოადგილეა. ჯალათებმა გვილავა თითმხილველების გადმოცემით იარაღის მიბჯენით გამოასალმეს წუთისოფელს, როცა შეეცადა ელიავას დაცვას.

ხუნტის ძალოვნები ელიავას ლიკვიდაციამდე ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ელიავა ყოველნაირად ლაფში ამოსვრილი ყოფილიყო საზოგადოების თავალში. ეს ხომ ყველა დროის ნაცადი ხერხია, ზოგისთვის „კაკო ყაჩაღი" იყო, ზოგისათვის კი ეროვნული. ჯალათებს მეტი არგუმენტი უნდა ჰქონოდათ თავის გასამართლებლად, ამიტომაც წაუყენეს ბრალდებად დანაშაულის მთელი სპექტრი, როგორიცაა სამშობლოს ღალატი, იარაღის უკანონო ტარება, არაკანონიერი ფორმირებების შექმნა, სამართალდამცავის მძევლად აყვანა და სხვა.

აკაკი ელიავა და გოჩა გვილავა იყვნენ საქართველოს ერთადერთი კანონიერი ეროვნული ხელისუფლების უკანასკნელი მებრძოლები. ისინი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, კანონიერების აღდგენას რაინდულად შეეწირნენ. მათი ლიკვიდაციით მაშინდელმა ხელისუფლებამ შემოდგომაზე დაგეგმილი დესტაბილიზაცია თავიდან აიცილა და საჭიროების შემთხვევაში მიზნად ისახავდა სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონების დაპირისპირებასაც.

დიახ, უბრალოა ამ კოლხი ვაჟკაცების სიმტკიცისა და შეუდრეკელობის საიდუმლო. სწორედ ესაა სანიმუშო მაგალითი სამშობლოს და მამულის სიყვარულის. მსუბუქი ყოფილიყოს კოლხეთის ის მიწა, რომელიც თქვენი საფიცარი იყო. „ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი" – ჭეშმარიტად. „მე მებრალება ის ქართველი, ვინც ტყვიას მესვრის"(აკაკი ელიავა).

9 ივლისს, მისი გარდაცვალების დღეს ტკივილით ხვდება ახლობლები, ოჯახის წევრები. მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ბიჭიკო თუნთია,
ეროვნული გვარდიის ყოფილი ოფიცერი

P.S. წერილში მოყვანილ ფაქტებზე და გამოთქმულ ვარაუდებზე პასუხისმგებელია ავტორი.

კიდევ მრავალჯერ გაგვახარებენ

გერმანიის ქალაქ დორტმუნდში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს სენაკელმა სპორტსმენებმა გიორგი ჩხიკვაძემ და ლუკა ოჩიგავამ(მწვრთნელები ვალერი მურღულია, რამაზ კოკაია), გიორგი ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო ლუკა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. გიორგი და ლუკა დღეს ჩვენი სტუმრები არიან და თავად გვიყვებიან თავიანთი წარმატების შესახებ.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ტიტულის მფლობელი **გიორგი ჩხიკვაძე** ჭაბუკთა შორის საქართველოს ორგზის ჩემპიონია, ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის საქართველოს ერთგზის ჩემპიონი, მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ევროპის ორგზის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული...

გიორგი, პირველ რიგში გილოცავ ჩემპიონობას, შენს ტიტულებს კიდევ ერთი, ევროპის ჩემპიონის ტიტული შემატე, რამდენად რთული იყო გზა ჩემპიონობამდე?

გმადლობთ. მოსამზადებელი პერიოდი იყო საკმაოდ რთული. კორონა ვირუსმა ძალიან შეგვიშალა ხელი. რადგანაც კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით სპორტული დარბაზები დაიკეტა. მწვრთნელების დახმარებით სახლის პირობებში გავდიოდი ინდივიდუალურ ვარჯიშებს და ვიღებდი მითითებებს მწვრთნელებისგან, როცა ყველაფერი ასე თუ ისე უკეთესობისკენ შეიცვალა, ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი, რომლის მოგების შემდეგ, საქართველოს ნაკრებთან ერთად დავიწყე მზადება ევროპის ჩემპოინატისათვის. მე გავხდი ევროპის ჩემპიონი 72 კილოგრამ წონით კატეგორიაში და ამასთან ერთად ევროპის გუნდური ჩემპიონობაც მოვიპოვეთ.

ჩემპიონატზე სულ ჩავატარე 5 ორთაბრძოლა, შევხვდი ბელარუს, შვეიცარიელ, აზერბაიჯანელ და ხორვატ სპორტსმენებს. ხოლო ფინალში 4:1 დავამარცხე უნგრელი სპორტსმენი ტოესმაგი.

გიორგი, როგორია შენი სამომავლო გეგმები?

ჩემს სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, გავდივარ საერთო მომზადებას ბაკურიანში და ვემზადებით მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც გაიმართება რუსეთში, სავარაუდოდ 17-22 აგვისტოს.

ლუკა ოჩიგავა 10 წელია, რაც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეა. საქართველოს ორგზის ჩემპიონი, ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი, საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული ლუკა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

ლუკა, გილოცავ წარმატებას, შენ არაერთი ტურნირის გამარჯვებული და საპრიზო ადგილების მფლობელი ხარ, რთული იყო გზა წარმატებამდე?

საკმაოდ წარმომადგენლობითი შეჯიბრება იყო, სადაც ძლიერი სპორტსმენები გამოდიოდნენ. სულ ოთხი ორთაბრძოლა გავმართე. ჩემი მეტოქეები იყვნენ გერმანელი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი და უნგრელი სპორტსმენები. ნახევარ ფინალში აზერბაიჯანელთან დავმარცხდი და დავიკავე მესამე ადგილი.

უახლოეს შეჯიბრებაზე სად გიხილავთ?

სამომავლოდ ბევრი გეგმები მაქვს, ამ ეტაპზე ჩემი ყველაზე დიდი მიზანია მსოფლიო ჩემპიონატის მოგება, რომელიც აგვისტოს თვეში ჩატარდება. ვთვლი რომ ევროპის ჩემპიონატმა მომცა დიდი სტიმული და გამოცდილება. ვიმედოვნებ რომ მსოფლიო ჩემპიონატისათვის ბევრად უკეთეს ფორმაში ვიქნები.

გიორგიმ და ლუკამ ერთანაირად უპასუხეს კითხვაზე: თუ როგორი შეგრძნება ქონდათ, როცა საქართველოს ჰიმნი აჟღერდა დარბაზში. „როცა შენი ქვეყნის ჰიმნი ჟღერს ორმაგად ამაყი ხარ, პირველი, რომ წარმატებას მიაღწიე, მეორე კი შენი სამშობლო ასახელე".

გიორგი და ლუკა მადლობას უხდიან მწვრთნელებს ვალერი მურღულიას და რამაზ კოკაიას გაწეული შრომისათვის და თვლიან, რომ მიღწეულ წარმატებაში დიდია მათი წვლილი. მადლიერებას გამოთქვამენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილის მიმართ გულთბილი შეხვედრისათვის.

ვულოცავთ ჩვენს სახელოვან სპრტსმენებს გიორგი ჩხიკვაძეს და ლუკა ოჩიგავას მოპოვებულ უდიდესი გამარჯვებას, ვუსურვებთ წარმატებებს და გვჯერა რომ კიდევ მრავალჯერ გაგვახარებენ.

მაია გერგაია

სენაკის ნაყინი 50 წლისაა

1971 წელს კვალიფიციური და პროფესიონალი მუშაკის, სენაკის საპატიო მოქალაქის რეზო გარუჩავას ხელმძღვანელობით ნოსირში დაფუძნდა ნაყინის საამქრო.

საამქროში ბევრი სიახლე იყო დანერგილი. რეზო გარუჩავას ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით საამქრომ უზრუნველყო ხარისხიანი პროდუქციის გამოშვება. ბატონ რეზოს ყველაფერი გათვლილი ჰქონდა ხარისხზე და მარალ ტექნოლოგიებზე.

სენაკის ნაყინი გაცდა რაიონის ფარგლებს და გაიზარდა მოთხოვნა ამ პროდუქტზე.

დღეს სენაკის ნაყინი კონკურენტუნარიანი პროდუქციაა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მამის დაწყებულ საქმეს აგრძელებს დავით გარუჩავა.

საწარმოს დირექტორი კარგი ორგანიზატორი და მენეჯერია.

15 ივლისს ჩატარდა სენაკის ნაყინის 50 წლისადმი მიძღვნილი გასართობი ღონისძიება.

ღია, ფერადი აქსესუარებით დამშვენებული ავტობუსებიდან ანიმატორებმა და მულტფილმების გმირებმა საინტერესო სანახაობა შესთავაზეს ბავშვებს.

საღამოს მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში გაიმართა სენაკის ნაყინის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გასართობი ღონისძიება, რომელშიც მოწვევით მონაწილეობდნენ ჯგუფი „21-ე საუკუნე, ნიკოლ-შოუ. ღონისძიება მიჰყავდა იოანე ქართველს

ვულოცავთ სენაკის ნაყინის დამფუძნებლებს 50 წლის იუბილეს, ვუსურვებთ უფრო და უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

მ. ეჯიბია

მილოცვა

საქართველოს კულტურისა და ხელოვნების კავშირის „არტ ფოლკის" გადაწყვეტილებით კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისა და მისი განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მწერალს, ჟურნალისტს, რეგიონალური გაზეთის „თავისუფლების მრწამსით" და ჟურნალ „ჯი ემ სთარის" რედაქტორს, საქრთველოს ჟურნალისტთა და შემოქმედებითი კავშირის და მწერალთა კავშირს წევრს ლანდა მასხულიას მიენიჭა „ხელოვნების ალმადარის" წოდება. ჯილდო 3 ივნისს თავის დაბადების დღესთან გადაეცა კულტურისა და ხელოვნების განვითარების კავშირისგან.

ვულოცავთ მას ამ საპატიო ჯილდოს. ვუსურვებთ წარმატებულ ჟურნალისტურ და შემოქმედებით საქმიანობას, დღეგრძელობას და კვლავაც მებრძოლი სულისკვეთებით სვლას ცხოვრების გზაზე.

გაზეთ „კოლხეთის"
რედაქცია

„ჩემი ხნისა მოიყარეთ“

დამსახურებული პედაგოგი, სენაკის საპატიო მოქალაქე ქალბატონი თათუშა ბასილაია-ჭაავა ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი და საპატიო რეპონდენტიაა. ასაკის მიუხედავად აქტიურ ცხოვრებას ეწევა: კითხულობს, წერს, ფლობს კომპიუტერული ტექნიკას. ქალბატონ თათუშას მოგონებები, ლექსები, ჩანახატები. მისი განვლილი ცხოვრების ერთგვარი შეფასებაა. ქალბატონი თათუშა გზას ულოცავს ახალგაზრდებს, შათამომავლებს. „ჩემი ხნისა მოიყარეთ“ — ამ სიტყვებით მიმართავს იგი ახალგაზრდებს.

მოგონებები

ძალიან მიყვარდა და დღესაც მიყვარს სექტემბრის თვე. არდადაგების შემდეგ მას მოველოდი როგორც ახალი წლის გათენებას, რადგან ვბრუნდებოდი ჩემს მეორე ოჯახს-სკოლას, სადაც მელოდა სიცოცხლით სავსე ასეულობით თვალხატულა გოგო-ბიჭი, რომლებთანაც ურთიერთობაში მავიწყდებოდა სხვა ყოფითი პრობლემები, და მხოლოდ მათ ვეკუთვნოდი.

ასევე გავატარე ჩემი სიცოცხლის 60 წელი. დრომ თავისი ქნა, პენსიაზე გასვლის შემდეგ მეტად დავფიქრდი წარსულზე. სევდიანია წარსულის მოგონებები, მაგრამ ჩემს ოჯახთან ერთად სიცოცხლეს მმატებენ ჩემი კარგი ნამოწაფეები, რომლებიც სიყვარულით მხვდებიან და მეფერებიან.

გავიდა წლები. ჩემი ყოველი მოსწავლეები ადგილობრივ ხელისუფლებაში მოვიდნენ. ჩემი პირადი არქივით და ცხოვრების დეტალებით დაინტერესდნენ. არაერთი სიგელი და მადლობა მაქვს მიღებული წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისთვის, მათ შორის განათლების სამინისტროს მადლობა განათლების მინისტრის ხელმოწერით.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი ყოველი მოსწავლის ირმა კუპრეიშვილისადმი. მისი და სხვა ნამოწაფრების რეკომენდაციით წარმადგინეს სენაკის საპატიო მოქალაქეობაზე.

სენაკის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა მერმა ლევან კუპრეიშვილმა დამაფასა და სხვა ღირსეულ ადამიანებთან ერთად სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭა.

2020 წლის 5 ოქტომბერს გადმომცა ეს ჯილდო, რომელმაც ძალიან გამახარა. მადლობა ყველა თანამშრომელს, ვინც ჩემი სიხარული გაიზიარა. მადლობა ყველას, ჩემს შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს, ნათესავებს, მეგობრებს და ვინც მახარებს და მილამაზებს ცხოვრებას.

93 წელი საკმაოდ დიდი ასაკია, ყველას გისურვებთ დაფასებულ სიბერეს, დღეგრძელობას, „ჩემი ხნისა და მოიყარეთ“ ძვირფასო ადამიანებო.

ბოლოს მინდა... კიდევ ერთხელ მოვიგონო სკოლაში მოღვაწეობის პერიოდი. პატარა ლექსში გადმოვცე ის ემოციები, რომელსაც განვიცდიდი საკლასო ოთახში შესვლისას:

ხელში ჟურნალი ავიღე,
ფრთხილად შევედი კლასში,
ფეხზე ადგომით დამიხვდა
აუ, რამდენი ბავშვი
აუ, რამდენი სიცოცხლე
რამდენი წყვილი თვალი
მეც ვცდილობ, რომ მოვიხადო
მათ წინ პირნათლად ვალი
ჩემი ბუდიდან აფრინდა,
აუ, რამდენი ბავშვი,
რამდენი დედის სიცოცხლე,
რამდენი მამის დარდი
მე წლებმა ჩამომათოვა,
ჭაღარა გაჩნდა თმაში
ქუჩაში მხვდება ღიმილით
ჩემი გაზრდილი „ბავშვი“
აუ, რამდენი „ბავშვი“

ფესვები

ჩვენ ფესვნი ვართ, თქვენ კი
ფესვზე ამოსული ტანი
ტოტებშია თქვენი შვილი თქვენს
ტანზედა წამოზრდილნი,
ფოთლები კი ჩვენთვის
არის სანატრელი
შვილთა შვილნი.
დედამიწა არის ჩვენი დიდი დედა
ძუძუმტე და ნივთიერი
ღმერთო შენით ჩვენ ვარსებობთ
შენით გვიდგას სული,
შენ მოგვხედე დაგვეხმარე
არ გაჩერდეს გული;
ასე ამბობს ადამი და
უდასტურებს ევა
მათ წარმოქმნილ შთამომავალთ
გვმართებს დიდი ძლევა
გავასწოროთ შეცდომები და
შევიძლოთ შველა,
დაუფიქრდეთ, არ ავჩქარდეთ,
წინ წავიდეთ ნელა
საქმემ მხოლოდ საქმე იცის,
არ გვიშველის ენა.
მოყვასთ ღალატს, მოტყუებას,
მოაქვს დიდი წყენა
კარგი საქმის კეთებაში ხელს
შეგიწყობთ ზენა
ერთად ვიყოთ, ერთი სულით
დავირაზმოთ ყველა.

თბილისი
1992 წელი

ვაშლის ხე

ჩემს ეზოში აღმართული ვაშლის ხე რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, არაერთ თაობას ჩემი შვილებისა და შვილიშვილების ჩათვლით ჩაუტკბარუნებია პირი მისი ნაყოფით.

ჩემთვის იცით რა არის ვაშლის ხე?

ჩემი ცხოვრების თანამგზავრი

როცა ჭიშკართან ვდგავარ შევყურებ ჩემს პატარა ლამაზ ეზოს რომელსაც შემოდგომაზე გარშემო ნარინჯისფერი მანდარინისა და ლიმონის ხეები აკრავს შემდეგ მზერა ვაშლის ხეზე გადამაქვს. ერთ დროს ქოლგასავით გაშლილი მაისის ვაშლები წითლად დახუნძლული დაპატარავებულა, დაჩიავებულა.

ტოტებდაბერებული, გადაღუნულ-გადმოღუნული, ზოგან ხავსმოკიდებული ნაღვლიანად დგას, კანი დახეთქილი აქვს. გეგონება აი, ამ ადგილას ნაკადულს ჩაუვლია, აი იმ ადგილას კი თითქოს ტბა ყოფილა, იქ კი თითქოს დედაბერს დაუღია უკბილო პირი...

2020 წლის შუა რიცხვებში დავაკვირდი ჩემს ვაშლის ხეს და რას ვხედავ, თითქოს გაახალგაზრდავებულა ხასხასა ფოთლებით დ აუფარავს გადაბრეცილი და ზოგან ხავსმოკიდებული ტოტები, რომლებიც ერთგვარად სასიამოვნო ერთობას ქმნიან. მაგრამ ტანი? მის დახეთქილ ტანს რა დამალავს, თუმცა მეჩვენება რომ მეჯიბრება „მე ხანდახან ვცდილობ გაახალგაზრდავებას, შენ კი ვერაო“

ნაღვლიანად გავყურებ ცის ტატნობს, მზერა ისევ ვაშლის ხეზე ეგრეწოდებულ „მაისკაია როზაზე“ გადამაქვს. ჩემს მზერას კვლავ მიწისფერი და ხავსმოკიდებული ტოტები ხვდება.

ყველაფერი ეს მე ვიცი, რასაც ნიშნავს -- ორივე მე და შენ ერთი სენით ვართ დაავადებული – უკურნებელი სენით.... სიბერით.

ჯემალ ცაავა

არიან ადამიანები, რომელთაც ამაყად, თავაწეულად შეუძლიათ სიარული მშობლიური ქალაქის ქუჩებში . სწორედ ასეთი გახლდათ ბატონი ჯემალი, კაცი რომელიც ყველგან კაცობით და მეცნიერული შემოქმედებითაა ცნობილი.

დაიბადა 1939 წელს ქ.სენაკში, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა I საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე, სადაც 1965 წლიდან 2007 წლამდე იმუშავა. 1979 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. წლების განმავლობაში განაგებდა თსუ-ში ექსპერიმენტალური ფიზიკის კათედრას. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. 2004 წელს გახლდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. მის სახელთანაა დაკავშირებული თერმულ-მექანიკური ეფექტის აღმოჩენა; სპეციფიკური კვანტური მოვლენების ექსპერიმენტული გამოკვლევების ახალი მიმართულების შექმნა, დრეკადი ტალღის გავრცელების კანონი.

ჯ. ცაავა მონაწილეა მრავალი სამეცნიერო კონფერენციის მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, თბილისში. მისი კვლევის ძირითადი საკითხები არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოელ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოხვდა. მისი შრომები გამოქვეყნდა აშშ. სადაც დიდ გამოხმაურებას პოულობს და იწვევენ მრავალ საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე მონაწილეობს პოლონეთში(ვარშავაში), დაბალი ტემპერატურების ფიზიკაში საერთაშორისო კონფერენციაზე. მის მიერ დასაბუთებულ-ორკომპონენტიან მოდელში ჩადებული იდეები დღეს ბირთულ ფიზიკაში გამოიყენება და ანალოგი არ მოეპოვება. ეს კი მის ავტორს ფიზიკის მკვლევართა შორის საპატიო ადგილს უმკვიდრებს.

1994-2007 წლებში ჯემალ ცაავა სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის (სჰეი) რექტორია. ბატონი ჯემალი ახალგაზრდების შესანიშნავი აღმზრდელი და მეგობარი იყო, ამ პერიოდში აღნიშნული ინსტიტუტი დაამთავრა 1400 სტუდენტმა, რომლებიც დღეს განაგრძნობენ

ხსოვნა

მოღვაწეობას სხვადასხვა სფეროში. მასთან საუბარი ყოველთვის ახლით ამდიდრებდა ადამიანებს, იყო ჰუმანური. 1996 წელს აირჩიეს ეგრისის სამეცნიერი აკადემიის აკადემიკოსად. განათლების სფეროში შეტანილი დიდი წვლილისთვის დაჯილდოვებული იყო იაკობ გოგებაშვილის მედლით. არჩეული იყო სენაკის საპატიო მოქალაქედ.

სენაკის ჰუმანიტარულ-
ეკონომიკური ინსტიტუტის
ყოფილი თანამშრომლები

გაზეთ „კოლხეთის” თანამშრომლები თანაუგრძნობენ დოდო სერგიას ძმის

ბადრი სერგიას

გარდაცვალების გამო.

სენაკის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამილა სორდიას მეუღლის

კაპიტონ მამულიას

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499